მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების

პრაქტიკული სახელმძღვანელო

ავტორები:

თეონა ფურაშვილი

გვანცა ნიკურაძე

სახელმძღვანელო მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) მხარდაჭერითა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით, პროგრამის - „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ (GGLD) - ფარგლებში.

GIZ არ იღებს პასუხისმგებლობას სახელმძღვანელოს შინაარსობრივი მხარის სისწორესა და ავტორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე.

შინაარსი

01
რა არის მდგრადი განვითარების მიზნები?

04
საქართველო და მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაცია

10
რატომ არის მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების პროცესი?

13
რა დამატებით სარგებელს მოუტანს მუნიციპალიტეტებს დღის წესრიგი 2030-ში აქტიური მონაწილეობა?

15
მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების ეტაპები

16
პირველი ეტაპი: ცნობიერების ამაღლების კამპანია

23
მეორე ეტაპი: ადგილობრივ დღის წესრიგსა და სტრატეგიულ დოკუმენტებში მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირება

30
მესამე ეტაპი: მიზნების განხორციელება

33
მეოთხე ეტაპი: მონიტორინგი და შეფასება

39
დამატებითი ხელშემწყობი გარემოებები

49
გამოყენებული ლიტერატურა

რა არის მდგრადი განვითარების მიზნები?

ბოლო წლების მანძილზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, გლობალურ პრობლემებთან გამკლავების მიზნით, მიღებულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი და ამბიციური დოკუმენტი, მათ შორის „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“[1], „ადის-აბებას სამოქმედო დღის წესრიგი“, კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში მიღებული „პარიზის შეთანხმება”, „კატასტროფების რისკის შემცირების სენდაის ჩარჩო“ და „ახალი ურბანული დღის წესრიგი”. 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის სექტემბერში A/RES/70/1რეზოლუციით - მიიღო, რომელიც წარმოადგენს ქვეყნების საერთო ძალისხმევას სიღარიბის აღმოფხვრის, უსამართლობისა და უთანასწორობის დაძლევის, საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და გარემოს დაცვის მიმართულებით, ხოლო მისი მიზნები (შემდგომში, SDG-ები) უნივერსალურია და მათ შესრულებაში ყველა ქვეყანა თანაბრად ერთვება.

ადგილობრივმა და რეგიონულმა მთავრობებმა სრულად გაიზიარეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების აქტუალურობა და მიზნების განხორციელების პროცესში ჩართულობის სრული მზადყოფნა გამოთქვეს. წევრი ქვეყნები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ ადგილობრივი მმართველობის დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება ხელს შეუწყობს სიღარიბის აღმოფხვრას, უსამართლობისა და უთანასწორობის დაძლევას, საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფას, კლიმატის ცვლილებებისა და გარემოს დაცვის საკითხების წინ წამოწევას და ა.შ. აღნიშნულ საკითხებს მეტი აქტუალურობა COVID-19-ის პანდემიამ შესძინა. გლობალური პანდემიის ფონზე გაიზარდა უთანასწორობა, გაღრმავდა უკიდურესი სიღარიბე, და მნიშვნელოვნად შეფერხდა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესი.

ხსენებულ გამოწვევებთან საბრძოლველად, დღის წესრიგი 2030-ით გათვალისწინებულია 17 მიზანი, 169 ამოცანა და 232 უნიკალური ინდიკატორი,[2] რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია და თანაბრად ეხება ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებს. მათზე გაეროს წევრი სახელმწიფოები, ადგილობრივი ხელისუფლებები,

[1] Resolution adopted by the General Assembly on 25 September 2015. United Nations. Available on: https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_70_1_E.pdf

[2] Global indicator framework for the Sustainable Development Goals and targets of the 2030 Agenda for Sustainable Development. ხელმისაწვდომია: https://unstats.un.org/sdgs/indicators/Global%20Indicator%20Framework%20after%20refinement_Eng.pdf

სამოქალაქო საზოგადოება, კერძო სექტორი და სხვა დაინტერესებული მხარეები უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად ორწლიანი ინტენსიური საჯარო კონსულტაციებისა და თანამშრომლობის შედეგად შეთანხმდნენ. როგორც გაეროს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, ბან კი მუნმა აღნიშნა, მდგრადი განვითარების მიზნები წარმოადგენს „მოსახლეობის დღის წესრიგს" (The People's Agenda).

მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა

მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის

მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება

მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა

მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა

მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის

მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა

მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება

მიზანი 12: მდგრადი მოხმარება და წარმოება

მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება

მიზანი 14: ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისთვის

მიზანი 15: ხმელეთის ეკოსისტემის დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება

მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე

მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად

საქართველო და მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაცია

საქართველო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც 2015 წელს გამოხატა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მზადყოფნა და დაიწყო მათი ეროვნული პოლიტიკის დღის წესრიგში დანერგვა - ე.წ. **ნაციონალიზაცია.**

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების **მაკოორდინირებელ უწყებად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია** განისაზღვრა. საწყის ეტაპზე, მთავრობის ადმინისტრაციამ სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროს ექსპერტებთან ერთად ტექნიკური სამუშაო ჯგუფი შექმნა, რომელსაც იმ მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა დაევალა, რაც მოცემული მომენტისთვის ქვეყნის პრიორიტეტს წარმოადგენდა. ქვეყნის გამოწვევებისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების **17-ვე მიზანი და 93 ამოცანა** ეროვნულ პრიორიტეტად განისაზღვრა. ნაციონალიზაციის პროცესის შედეგად, დადგინდა **201 ინდიკატორი.** ამასთანავე, შემუშავდა ეროვნული დოკუმენტი - SDG-ების მატრიცა. ამ პროსესში აქტიურად იყო ჩართული და მხარს უჭერდა გაეროს მუდმივი კოორდინატორის ოფისი და გაეროს სააგენტოთა ჯგუფი საქართველოში.



მიზნების განხორციელების, მონიტორინგისა და პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, შექმნილია **მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭო.** საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე. საბჭოს შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო უწყების წარმომადგნელები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. საბჭოს სხდომა იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

საბჭოს სამდივნოს ფუნქციას ასრულებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და სამთავრობო კოორდინაციის დეპარტამენტის სტრატეგიული დაგეგმარების და კოორდინაციის სამმართველო. სამდივნოს მიზანია საბჭოს საქმიანობის ანალიტიკური და ორგანიზაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

საბჭოს მანდატის ქვეშ ფუნქციონირებს **ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფი:**

- დემოკრატიული მმართველობის სამუშაო ჯგუფი
- სოციალური ჩართულობის სამუშაო ჯგუფი
- ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფი
- მდგრადი ენერგეტიკის და გარემოს დაცვის სამუშაო ჯგუფი

სამუშაო ჯგუფები, მათი თემატური მიმართულებების გათვალისწინებით, კოორდინაციას უწევენ მონაწილე უწყებების მუშაობას, მონაცემთა შეგროვებას და მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანების ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში ინტეგრაციას.

სამუშაო ჯგუფებში გაერთიანებულია როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო, კერძო სექტორის, აკადემიის წარმომადგენელთა ფართო სპექტრი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს/ორგანიზაციას, რომელიც სარეგისტრაციო წესებს[3] აკმაყოფილებს, შეუძლია გახდეს ჯგუფის წევრი.

სოციალური ჩართულობის სამუშაო ჯგუფთან დაკავშირებულია საკითხების ყველაზე ფართო წრე, რაც შემდეგ მიმართულებებს მოიცავს: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა; ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისთვის; ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასთვის; წყლის მდგრადი მართვისა და

[3] წესის თანახმად, წევრობის მსურველს სულ მცირე ერთ სფეროში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება და სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში სტაბილური მონაწილეობისთვის შესაბამისი რესურსი უნდა გააჩნდეს.

და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა; სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასთვის; უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის; მდგრადი განვითარების მიზნით მსოფლიო პარტნიორობის გააქტიურება.

ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფი მისი მანდატის ფარგლებში ზედამხედველობს ისეთ მიმართულებებს როგორიც არის: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასთვის; მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის; მდგრადი განვითარების მიზნით მსოფლიო პარტნიორობის გააქტიურება.

დემოკრატიული მმართველობის სამუშაო ჯგუფი საქმიანობს შემდეგი მიმართულებებით: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობის გაუმჯობესება; უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის; მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ხელშეწყობა მდგრადი განვითრებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასთვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე.

რაც შეეხება **მდგრადი ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამუშაო ჯგუფს,** მისი ზედამხედველობის ფართო არეალში მოექცა: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა; ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა; ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; მდგრადი მოხმარებისა და წარმოების უზრუნველყოფა; კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება; ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და გონივრული გამოყენება მდგრადი განვითარებისთვის; ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება; მდგრადი განვითარების მიზნით მსოფლიო პარტნიორობის გააქტიურება.

მონიტორინგი და შეფასება

ყოველწლიურად, გლობალურ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შეფასება გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) ეგიდით გამართულ, მდგრადი განვითარებისათვის მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმის (HLPF) ფარგლებში ხდება.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ ქვეყნის ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR) ანგარიში მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმს (HLPF) გარკვეული პერიოდულობით წარედგინება. საქართველო ანგარიშს 4 წელიწადში ერთხელ წარადგენს.

2016 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებიდან საქართველო გახლდათ ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR) ამსახველი ანგარიში მოამზადა. რიგით მეორე ანგარიში ქვეყანამ 2020 წელს, COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ონლაინ ფორმატში წარადგინა.[4]

საქართველოში მონიტორინგის პროცესის ეფექტური კოორდინაციისთვის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვედეთის განვითარების სააგენტოს (SIDA) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) აქტიური მხარდაჭერით შექმნა ელექტრონული სისტემა, სადაც ასევე ინტეგრირებულია SDG Tracker,[5] რომლის საშუალებით ხორციელდება მონიტორინგიელ. SDG-იებს მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის თებერვლის დასაწყისში. მონიტორინგის ონლაინ სისტემაში ჩართულ უწყებებს აქვთ 1-თვიანი ვადა, სისტემის მეშვეობით ანგარიშგება მოახდინონ სამდივნოს წინაშე.

[4] ანგარიშები ხელმისაწვდომია ბმულზე: https://sdg.gov.ge/text-page/46

[5] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ ელექტრონული სისტემა SDG Tracker მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ფარგლებში, 2019 წელს აამოქმედა. სისტემის მეშვეობით მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ორასზე მეტი ინდიკატორის მონიტორინგია შესაძლებელი

SDG TRACKER

WWW.SDG.GOV.GE

ელექტრონული სისტემის მეშვეობით მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების შესახებ ყოველწლიური ანგარიშგება შემდეგი სტატუსების მინიჭებით განისაზღვრება:

- არ დაწყებულა - 0%
- მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა - 1-50%
- მიმდინარე - მეტწილად შესრულდა - 51-99%
- განხორციელდა - 100%
- განხორციელდა დაგვიანებით - 100%
- გაუქმებულია - 0-99%
- შეჩერებულია - 0-99%

რატომ არის მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზება?

მდგრადი განვითარების მიზნების უნივერსალური ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროა მათი მორგება ადგილობრივ კონტექსტსა და სპეციფიკურ საჭიროებებს, რათა მიზნების განხორციელებამ რეალური ზეგავლენა იქონიოს ადგილობრივ მოსახლეობაზე.

პროცესს, რომლის მეშვეობითაც დღის წესრიგი 2030-ის მიღწევაში ხდება ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინება **მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზება** ეწოდება. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი ხელისუფლების როლი. ლოკალიზების პროცესში გარდა უშუალო მონაწილეობისა, თვითმმართველი ერთეულები თავად განსაზღვრავენ ადგილობრივ დღის წესრიგს, შეიმუშავებენ პრიორიტეტულ პროგრამებს და ჩართულნი არიან მიზნების განხორციელებასა და მათი შესრულების მონიტორინგში. ადგილობრივმა და რეგიონულმა მთავრობებმა კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს SDG-ების განსაზღვრისას, წარმატებით წამოიწყეს კამპანია - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება (SDG 11) და ხაზი გაუსვეს ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობის როლს SDG-ებზე ეროვნული კონსენსუსის მიღწევასა და განხორციელებაში.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ყველა სხვა ადგილობრივი მხარის - სამოქალაქო საზოგადოება, ადგილობრივი ლიდერები, კერძო სექტორი, მედია, აკადემიური წრეები, ასევე, რელიგიური ორგანიზაციები და სხვა - ჩართულობაც.

ზემოხსენებული **SDG 11 (ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება) უშუალოდ ადგილობრივ თვითმმართველობებს უკავშირდება, დანარჩენი 16 მიზანი ასევე მნიშვნელოვან კავშირშია ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობასთან.** საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დღის წესრიგი 2030-ის მიზნების დაახლოებით 65%-ის სრულად

სრულად შესრულება რეგიონული და ადგილობრივი მთავრობების ჩართულობის გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია.[6] სიღარიბე, ჯანდაცვის სერვისებსა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, სოციალური და გენდერული უთანასწორობა - იმ გამოწვევათა მცირე ჩამონათვალია, რომლის წინაშეც რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა დგას. სწორედ მუნიციპალიტეტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ 2030 წლის ფართო და ერთი შეხედვით აბსტრაქტული დღის წესრიგი ფართო საზოგადოებისთვის უფრო ხელშესახები და კონკრეტული გახადონ, მოარგონ საკუთარ კონტექსტს და წვლილი შეიტანონ თითოეული მოქალაქის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

„არავინ დარჩეს განვითარების პროცესის მიღმა“ (Leaving No One Behind) - დღის წესრიგი 2030-ისა და SDG-ების მთავარ დაპირებას წარმოადგენს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ SDG-ების განხორციელებით შექმნილი სარგებელი თანაბრად განაწილდეს რეგიონებსა და სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის. ამავდროულად, საგულისხმოა, რომ ცალკეულ რეგიონსა თუ მუნიციპალიტეტს შეიძლება განსხვავებული საჭიროებები და პრიორიტეტები ჰქონდეს. ამიტომაც, ლოკალიზაცია, აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების დროს უნდა ეფუძნებოდეს „ქვემოდან-ზემოთ“ (bottom up) მიდგომას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანი ინიციატივები ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისგან უნდა მოდიოდეს. ეს უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ პოლიტიკებს, რომლებსაც რეალური ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ თითოეული ინდივიდის, ოჯახის, თემის, ასევე მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების დონეზე.

არავინ დარჩეს პროცესის მიღმა

გარდა ამისა, **ადგილობრივ თვითმმართველობებს ხელეწიფებათ** არსებული მიზნების განხორციელების პროცესში მოახდინონ სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, აკადემიური წრეების და **დაინტერესებული მხარეების კონსოლიდაცია.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლოკალიზაციის პროცესში თითოეულ დაინტერესებულ მხარეს, მისი სპეციფიკური საქმიანობის, გამოცდილებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლია შეიტანოს მიზნების წარმატებით განხორციელებაში.

[6] Prorok T., T. Todorović A., Pichler D., Ivanović M., Rücker L., Pejčić M. (2019) Agenda 2030 in my municipality: A handbook for practitioners for localizing the Sustainable Development Goals (SDGs). ხელმისაწვდომია: https://social-rights-balkan.org/wp-content/uploads/Handbook_2030-Agenda-in-my-Municipality-4.pdf

რაც მთავარია, თვითმმართველი ერთეულების დონეზე არჩეული ლიდერები ფლობენ შესაბამის **დემოკრატიულ მანდატს და ლეგიტიმაციას** ადგილობრივი მდგრადი განვითარების პროცესების სამართავად. ამავდროულად, ადგილობრივი **ხელისუფლება პასუხისმგებელია მნიშვნელოვანი მუნიციპალური სერვისების მიწოდებაზე,** რომელთა ხარისხი პირდაპირ უკავშირდება მოქალაქეების კეთილდღეობას და ცხოვრების დონეს.

მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზება, ამავდროულად, **წარმოადგენს ახალ, უნიკალურ შესაძლებლობას დეცენტრალიზაციის დღის წესრიგის გასაძლიერებლად.** შეიძლება ითქვას, რომ დეცენტრალიზაციის და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესების თანმიმდევრობა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

რა დამატებით სარგებელს მოუტანს მუნიციპალიტეტებს დღის წესრიგი 2030-ში აქტიური მონაწილეობა?

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება გულისხმობს **კეთილდღეობის გაზრდას, ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობას,** კლიმატის ცვლილებთან გამკლავებას და ბუნებრივი რესურსების მდგრადობას. აღნიშნული პრიორიტეტები თითოეული ადგილობრივი ხელისუფლების დღის წესრიგშია.

- დღის წესრიგი 2030 ადგილობრივი ხელისუფლებისთვის შეიძლება გახდეს **პრაქტიკული სახელმძღვანელო დოკუმენტი,** რომელიც მას დაეხმარება ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული გრძელვადიანი პრიორიტეტების დასახვაში. ეს ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმების წარმატებით განხორციელებას.

- დღის წესრიგი 2030-ის მეშვეობით, მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარი **სტრატეგიები შეაფასონ და მოგვიანებით განაახლონ** გლობალური მიზნების, გამოწვევებისა და ტენდენციების გათვალისწინებით. ეს საშუალებაა მუნიციპალიტეტებისთვის, ფეხი აუწყონ მსოფლიო ტენდენციებს, დანერგონ ინოვაციები და გაიზიარონ სხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითები.



- გლობალური მიზნების მიღწევის პროცესში აქტიური ჩართულობით, მუნიციპალიტეტებს აქვთ შესაძლებლობა **დაამყარონ ახალი კავშირები და თანამშრომლობა** სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან, და თავიანთ მიღწევებზე გაზარდონ საერთაშორისო ცნობადობა. ამან შესაძლოა საფუძველი ჩაუყაროს ახალ რეგიონულ თუ გლობალურ ინიციატივებს, რომლებში ჩართულობაც მუნიციპალიტეტებს მისცემს შესაძლებლობას მოიზიდონ საერთაშორისო დაფინანსება და მხარდაჭერა ცალკეული მიზნების განსახორციელებლად.

- ჩამოთვლილი აქტივობები დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის **იმიჯზე როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ და ეროვნულ დონეზე.** შედეგად, მუნიციპალიტეტი გახდება უფრო მიმზიდველი როგორც საცხოვრებლად, ასევე, ინვესტიციების განსახორციელებლად.

მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების ეტაპები

თითოეული ქვეყანა და ადგილობრივი ხელისუფლება დღის წესრიგი 2030-ის განხორციელებაში ჩართულობის გზებს თავად ირჩევს. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, მდგრადი განვითარების ლოკალიზების შემდეგი ეტაპები და მათთვის დამახასიათებელი თავისებურებები შეიძლება გამოიყოს:

I. მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლება	II. მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დღის წესრიგსა და სტრატეგიებში ინტეგრაცია	III. მიზნების განხორციელება	IV. მონიტორინგი და შეფასება
• უნდა მოხდეს ყველა ადგილობრივი დაინტერესებული მხარის ინფორმირება განსახორციელებელი მიზნების შესახებ • ცნობიერების ამაღლების კამპანიები უნდა დაიგეგმოს სამიზნე აუდიტორიის საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით ☑ მიზნების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა უზრუნველყოფს პროცესის ინკლუზიურობას და მოქალაქეთა მხარდაჭერას	• ადგილობრივმა ხელისუფლებამ ფართო საზოგადოების ჩართულობის უნდა განსაზღვრონ ადგილობრივი კონტექსტისთვის შესაფერისი მიზნები და ამოცანები. • შერჩეული მიზნები უნდა ინტეგრირდეს ადგილობრივ დონეზე როგორც პროგრამულ ბიუჯეტში, ასევე, ადგილობრივ სტრატეგიებსა და მათ სამოქმედო გეგმებში. • პოლიტიკების განსაზღვრის დროს დაბალანსებული უნდა იყოს სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საკითხები, ასევე, აღსრულების კუთხით პოტენციური გამოწვევები. ☑ ადგილობრივი კონტექტის გათვალისწინება უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკების შექმნას	• მიზნების განხორციელებისას მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გამოიყენონ საერთაშორისო კარგი პრაქტიკები და ინოვაციური მიდგომები • ღონისძიებების ჩატარების დროს მნიშვნელოვანია შესაბამისი მონაცემების წარმოება და შენახვა • სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისას მნიშვნელოვანია ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობა. ☑ მიზნების განხორციელების დროს ინკლუზიური და ინოვაციური მიდგომების გამოყენება უზრუნველყოფს მაქსიმალური შედეგების მიღწევას	• შედეგების შესამოწმებლად, ადგილობრივ დონეზე უნდა არსებობდეს მონიტორინგის ჩარჩო/ მეთოდოლოგია. • განხორციელებული პროგრამების მონიტორინგით უნდა შეფასდეს მათი ეფექტურობა და გავლენა მოსახლეობის კეთილდღეობაზე. საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები უნდა შევიდეს თავდაპირველ გეგმებში. ☑ მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური სისტემის არსებობა უზრუნველყოფს გაუმჯობესებულ პროგრამებსა და პოლიტიკას.

პირველი ეტაპი: ცნობიერების ამაღლების კამპანია

მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციის პროცესში ცნობიერების ამაღლების კამპანიებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, რადგან მსგავსი აქტივობები მომავალში უზრუნველყოფენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მობილიზებას, დღის წესრიგი 2030-ისადმი მათ დაინტერესებას, სხვადასხვა სექტორებს შორის მიზნების მისაღწევად პარტნიორობის დამყარებას და მათი მონაწილეობის/ჩართულობის გაზრდას. ცნობიერების ამაღლების კამპანიები მიზნად უნდა ისახავდეს, ერთი მხრივ, **საჯარო მოხელეთა კომპეტენციების გაზრდას მიზნების მისაღწევად, და მეორე მხრივ, მოქალაქეთა და ადგილობრივი თემების დაინტერესების გაზრდას მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.** შესაბამისად, ცნობიერების ამაღლების აქტივობების განხორციელების დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ გლობალურ თუ ნაციონალიზებულ მიზნებზე, არამედ ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, მიზნების მიღწევის მნიშვნელობაზე.



ამავდროულად, მსგავსმა კამპანიებმა ნიადაგი უნდა მოამზადოს ლოკალიზების პროცესისთვის საჭირო მონაწილეობითი მექანიზმების დასანერგად. ამ ეტაპზე საჭიროა დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი, რის საფუძველზეც მოგვიანებით დაინერგება მხარეთა თანამშრომლობის ფორმალური თუ არაფორმალური მექანიზმები.

ა) პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების ინფორმირება SDG-ების შესახებ

პოლიტიკური და ინსტიტუციური მხარდაჭერის უზრუნველყოფისთვის მდგრადი განვითარების მიზნებისა და მათი ლოკალიზების მნიშვნელობაზე ადგილობრივი თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. საწყის ეტაპზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს **მაღალი რგოლის მენეჯერების ინფორმირების გაზრდას.** შესავლის სახით, საჭიროა დაიგეგმოს სემინარები/ტრენინგები, რომლის დახმარებითაც, SDG-ების შესახებ ზოგადი ინფორ-

მაციის გაცნობასთან ერთად, მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულები შეძლებენ მიზნების მიღწევის პრაქტიკული მნიშვნელობა და სარგებელი გრძელვადიანი პერსპექტივით შეაფასონ. ამ საკითხებთან ერთად, **მიზნების ლოკალიზების პროცესის ეტაპების, განხორციელების მექანიზმებისა და თავისებურებების შესახებ დამატებით უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის დანარჩენ საჯარო მოხელეებს,** რომელთა ჩართულობაც დასახული მიზნების მიღწევაში გარდაუვალია.

ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმართვისას მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს მუნიციპალიტეტის სამიზნე სტრუქტურული ერთეულები, სამსახურები და მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული იურიდიული პირები, ასევე მათი შესაბამისი თანამდებობის პირები / საჯარო მოხელეები, რათა მომავალში სწორად მოხდეს პროცესის კოორდინაცია.

შესაძლო აქტივობები:

- დღის წესრიგი 2030-ის, ნაციონალიზებული მიზნებისა და მათი ლოკალიზაციის გეგმების შესახებ თანამშრომლების რეგულარულად ინფორმირება ელ-ფოსტის, სიახლეების გაზიარების, საინფორმაციო დაფების, საინფორმაციო ბუკლეტების, თუ სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. ასევე, საჯარო მოხელეები მუდმივად უნდა იღებდნენ განახლებულ ინფორმაციას SDG-ებთან დაკავშირებული მუნიციპალური სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა და პროგრესის შესახებ.

- SDG-ების შესახებ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებაზე ორიენტირებული შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

- სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონორებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და კოორდინაციით, საჯარო მოხელეებისთვის SDG-ების ლოკალიზების შესახებ კარგი პრაქტიკების გაზიარებისა და დანერგვის პრაქტიკული მაგალითების გაცნობა.

→ SDG-ების შესახებ სპეციალურ ღონისძიებებში (მაგ. სემინარი, ტრენინგი, საერთაშორისო კონფერენცია) **საჯარო მოხელეთა მონაწილეობის / დასწრების წახალისება** და მსგავსი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.

ბ) ფართო საზოგადოების ინფორმირება SDG-ების შესახებ

ეფექტური ცნობიერების ამაღლების კამპანიის საწარმოებლად, პირველ რიგში, უნდა მოხდეს დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და თავმოყრა/დაჯგუფება - მათი მიზნების, ინტერესებისა და გამოცდილების გათვალისწინებით. აღნიშნული შესაძლოა სხვადასხვა მხარეების - მუნიციპალიტეტი, არასამთავრობო სექტორი, ბიზნეს სექტორი, აქტივისტები და ა.შ. - კოორდინაციით განხორციელდეს. ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს შეიძლება არ ჰქონდეთ გააზრებული, რომ საკუთარი საქმიანობით უკვე მონაწილეობენ მდგრადი განვითარების ცალკეული მიზნის

განხორციელებაში და შესწევთ უნარი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ლოკალიზების პროცესში. ამიტომაც, საჭიროა ფართომასშტაბიანი ცნობიერების ამაღლების კამპანიები დღის წესრიგი 2030-ისა და საქართველოს მიერ ნაციონალიზებული მიზნების შესახებ. აღნიშნული კამპანიები უნდა დაიგეგმოს სამიზნე აუდიტორიის / დაინტერესებული მხარის ინტერესებისა და საქმიანობის გათვალისწინებით.

დაინტერესებული მხარე	ლოკალიზების პროცესში შესაძლო როლი
სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო სექტორი	სხვადასხვა გამოცდილებიდან გამომდინარე, განვითარების ახალი ხედვების, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დანახული პრობლემების და გადაჭრის გზების გაზიარება.
კერძო სექტორი	სხვადასხვა მიმართულებით ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით, საერთო ინიციატივების განხორციელება. ცალკეული მიზნების მიღწევაზე თანამშრომლობა.
სკოლები	ცნობიერების ამაღლების საერთო კამპანიების დაგეგმვა, მოსწავლეების ჩართვა სხვადასხვა მოხალისეობრივ საქმიანობაში და ა.შ.
უნივერსიტეტები	ლოკალიზების დროს ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მათ შორის მონაცემებისა და არსებული სიტუაციის ანალიზის მიმართულებით. ასევე, საერთო ღონისძიებების და ადგილობრივი განვითარების გეგმების შესახებ აკადემიურ წრეებში პროფესიული დისკუსიების წახალისება.
ცალკეული/ ტექნიკური პროფესიების წარმომადგენლები	ცალკეულ სექტორებზე ტექნიკური და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება, ექსპერტიზის უზრუნველყოფა და ლოკალიზაციის პროცესში ინტელექტუალური ცოდნის გაზიარება.
საერთაშორისო ორგანიზაციების ადგილობრივი ოფისები/ წარმომადგენლები	ტექნიკური, ფინანსური და ექსპერტული გამოცდილებით უზრუნველყოფა. საერთაშორისო კონტაქტებისა და გამოცდილების გაზიარება.
ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია	ინტერ-მუნიციპალური კოორდინაცია, მუნიციპალიტეტებს შორის კარგი პრაქტიკების იდენტიფიცირება და გაზიარება.

შესაძლო აქტივობები:

- მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული **სიმბოლოების გამოყენება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებზე:** SDG-ის ლოგოს განთავსება დაწესებულების ვებგვერდზე, ოფიციალურ შენობებში განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე, საჯარო მოხელეთა, ასევე, დაწესებულების ზოგად საკომუნიკაციო ელექტრონული ფოსტის ხელმოწერაში. გარდა ამისა, მეტი თვალსაჩინოებისთვის, ლოგო შესაძლოა გამოყენებულ იქნას მუნიციპალურ დოკუმენტებში, სტრატეგიების თავფურცლებზე, რაც კიდევ ერთხელ ხაზს გაუსვამს მდგრადი განვითარების მიზნებისადმი მუნიციპალიტეტის ერთგულებას.

- SDG–ების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად მუნიციპალიტეტს შეუძლია **SDG-ის სიმბოლიკით დატვირთული სხვადასხვა პროდუქტი** გადასცეს როგორც პარტნიორებს, ისე პროფესიულ საჯარო მოხელეებს. მაგალითად, სამკერდე ნიშნები, ელექტრონულ მოწყობილობებზე დასაკრავი სტიკერები, ჩანთები, კალმები, ბროშურები, და ა.შ.

- დაინტერესებული მხარეებისთვის მდგრადი განვითარების მიზნების გასაცნობად შესაძლოა დამზადდეს და ფართოდ გავრცელდეს **მოკლე ვიდეო მიმოხილვა, ან ვიზუალიზაციით დატვირთული პრეზენტაცია,** რომელიც ლაკონიურად, მარტივ ენაზე გადმოსცემს მდგრადი განვითარების მიზნებს, მათი ლოკალიზების მნიშვნელობას და ამ პროცესში ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთა როლს.

- ეფექტური კომუნიკაციისთვის, შესაძლებელია **საჯარო სივრცეების გამოყენება** მდგრადი განვითარების მიზნების ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და შეხვედრებისთვის. SDG-ის ბანერები და პოსტერები, ასევე დროშები შესაძლოა გამოყენებულ იქნას ფართომასშტაბიანი საჯარო ღონისძიებების, მათ შორის ფესტივალების, მარათონების, კონცერტების მიმდინარეობისას.

- ასევე, მნიშვნელოვანია დღის წესრიგი 2030-ისა და ნაციონალური **მიზნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა საშუალებით:** მაგალითად, SDG-ების შესახებ ყველა შესაბამისმა ინფორმაციამ შესაძლოა თავი მოიყაროს მუნიციპალიტეტის ვებგვერდის დამატებით სექციაში, სადაც თემატურად განლაგდება და მუდმივად განახლდება ინფორმაცია დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ამავე განყოფილებაში შესაძლოა განთავსდეს საინფორმაციო ბროშურები და სხვა ვიზუალურად გამდიდრებული მასალა. ასევე, მდგრადი განვითარების მიზნების სექციას შესაძლოა დაემატოს სასარგებლო

ბმულები, საიდანაც დაინტერესებული პირი მიიღებს დამატებით ინფორმაციას ქვეყანაში მიზნების შესასრულებლად განხორციელებული აქტივობების შესახებ (მათ შორის მთავრობის ადმინისტრაციის მდგრადი განვითარების მიზნების პორტალის ბმული: https://sdg.gov.ge/main).

- ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების მასშტაბების გასაზრდელად, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ **ითანამშრომლონ სხვადასხვა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან და ერთობლივი ძალისხმევით მოაწყონ ღონისძიებები.** ამგვარი კამპანიების/ აქტივობების მაგალითებია: კონცერტებისა და ბაზრობების მოწყობა, წარმატებული ისტორიების გავრცელება, კონკურსები, დაჯილდოების ცერემონიები და თანამშრომლობა ცნობილ ადამიანებთან[7] (მაგალითად: მსახიობები, მუსიკოსები, სპორტსმენები, მწერლები, ფოტოგრაფები და ა.შ.) - მათი, როგორც SDG-ის ელჩებად წარდგენა. ასევე, მედია ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობით, საინფორმაციო სესიების, გადაცემების, სემინარებისა და შეხვედრების მოწყობა.

- სამომავლოდ, მუნიციპალიტეტებმა შესაძლოა ითანამშრომლონ იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან SDG-ების საკითხებით. მუნიციპალიტეტების პრაქტიკული გამოცდილება/მაგალითები და ადგილობრივი კონტექსტი დამატებითი სარგებელი იქნება განსაკუთრებით უმაღლესი სასწავლებლებისათვის. ასევე, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ ჩაერთონ და მხარი დაუჭირონ კონფერენციებისა და სხვა აკადემიური ღონისძიებების ორგანიზებას, მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლებას, მოსწავლეებისა და ახალგაზრდების ჩართულობას მდგრადი განვითარების ცალკეული მიზნების მიღწევაში, ასევე, ამ და სხვა აქტივობების განხორციელებისას ითანამშრომლონ მშობელ-მასწავლებელთა ასოციაციებთან/ორგანიზაციებთან/ გაერთიანებებთან.

[7] ე.წ. SDG Champions - ჯგუფში შედიან სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურები, ბიზნესის წარმომადგენლები, პოლიტიკური ლიდერები, აკადემიური წრეები, ასევე ხელოვანები, რომლებიც ხალხში პოპულარობით სარგებლობენ

→ რეკომენდირებულია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლების აქტივობების განხორციელებისას გათვალისწინებულ იქნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებები. რისთვისაც, SDG-ებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს ყველა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის. ასევე, ინფორმაცია გადაიცემოდეს ჟესტური ენის თანხლებით, იბეჭდებოდეს დიდი შრიფტით სუსტად მხედველი ადამიანებისთვის და გამარტივებული (ილუსტრაციების გამოყენებით) დაბეჭდილი მასალა ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებისთვის.

გ) ინტენსიური და ფართო დიალოგის წარმოება



დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირებისა და დღის წესრიგი 2030-ის შესახებ მათი ცნობიერების ამაღლების შემდგომ ნაბიჯს ინტენსიური, გამჭვირვალე და ინკლუზიური დიალოგის წარმოება წარმოადგენს. **აუცილებელია, ყველა შესაბამისი ადგილობრივი აქტორი ლოკალიზების პროცესში შესაძლო თანამშრომლობის შესახებ საჭირო ინფორმაციას ფლობდეს.** ამისთვის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შეუძლიათ გამართონ როგორც ინდივიდუალური, ისე სექტორული შეხვედრები სხვადასხვა ორგანიზაციებთან, პროცესში მათი ჩართულობის გზების დასახვის მიზნით. სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი ბიზნესის, აკადემიური წრეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მათი შეხედულებების, ცოდნის, ადგილობრივი საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების გზით, ლოკალიზაციის პროცესს მაღალ ლეგიტიმაციას შესძენს.

მეორე ეტაპი: ადგილობრივ დღის წესრიგსა და სტრატეგიულ დოკუმენტებში მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირება

აღნიშნული ეტაპი ერთ-ერთი საპასუხისმგებლოა, რადგან მისი სწორად წარმართვა განსაზღვრავს რამდენად ეფექტურად შეძლებენ როგორც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები, ისე სხვა დაინტერესებული მხარეები ნაციონალიზებული მიზნების შესრულებაში სათანადო წვლილის შეტანას. პროცესის ინკლუზიურად წარმართვისთვის, მნიშვნელოვანია წინა ეტაპზე დაწყებული **დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლების ძალისხმევა თანამშრომლობის ფორმალურ ან/და არაფორმალურ მექანიზმებად გადაიქცეს.** მათი გამოყენებით, მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ პოლიტიკურ დღის წესრიგსა და სტრატეგიებში ინტეგრირებისას, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების სათანადოდ ასახვას შეძლებენ.

მოცემულ ეტაპზე, მუნიციპალიტეტების მიერ გასატარებელი ღონისძიებები შესაძლოა შემდეგნაირად განისაზღვროს:

ა) სამუშაო / საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბება / არსებული სათათბირო ორგანოების (საბჭოები, კომისიები, სამუშაო ჯგუფები) საქმიანობასთან მდგრადი განვითარების საკითხების დაკავშირება/ გათვალისწინება

ლოკალიზაციის პროცესში ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და მათი მოსაზრებების/გამოცდილების გასაზიარებლად მუნიციპალურ ორგანოებს შეუძლიათ შექმნან თემატური სამუშაო / საინიციატივო ჯგუფები / სხვადასხვა სათათბირო ორგანოები. ამავდროულად, აუცილებელია უკვე არსებულ სათათბირო ორგანოების, მათ შორის **სამუშაო ჯგუფების საქმიანობის სპეციფიკიდან და საკითხიდან გამომდინარე, მოხდეს მათ აქტივობებში მდგრადი განვითარების მიზნების გათვა-**

ლისწინება/დაკავშირება. აღნიშნული პირველ რიგში ეხება პრიორიტეტების დოკუმენტის, ასევე, სხვადასხვა სექტორული სტრატეგიული დოკუმენტების მოსამზადებლად შექმნილ სათათბირო ორგანოებს / სამუშაო ჯგუფებს.

ზოგადად, ამგვარი ჯგუფები/სათათბირო ორგანოები შესაძლოა ეხებოდეს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური განვითარება, სოციალური კეთილდღეობა, გენდერული თანასწორობა, გარემოს დაცვა და ა.შ. სამუშაო ჯგუფებში წარმოდგენილნი იქნებიან კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორის წევრები, ასევე დარგის ექსპერტები, ადგილობრივი მედია, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ადგილობრივი საბჭოები და სხვა დაინტერესებული მხარეები.



მსგავსი სამუშაო ჯგუფები შესაძლოა ჩამოყალიბდეს მუნიციპალური დაწესებულებების „მრჩეველ ორგანოდ/ინსტრუმენტად", რომელიც დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით, ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შექმნას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, მსგავსმა ჯგუფებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს მიზნების შესრულებისთვის ახალი თანამშრომლობის დამყარებას, ასევე, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მოძიებას.

ამავდროულად, მდგრადი განვითარების საკითხები შესაძლებელია ინტეგრირდეს მუნიციპალურ დონეზე უკვე არსებულ საკონსულტაციო საბჭოებში.

მუნიციპალური პოლიტიკის დოკუმენტების გაანალიზება/გადახედვა და მიზნებთან დაკავშირება

მოცემულ ეტაპზე საჭიროა მოხდეს ადგილობრივი პოლიტიკის დოკუმენტების (პრიორიტეტების დოკუმენტი, მუნიციპალიტეტის სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები) ანალიზი და დადგინდეს მდგრადი განვითარების მიზნებთან მათი კავშირი. გარდა ამისა, აუცილებელია მოხდეს პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ პროგრამებთან, ასევე ქვეპროგრამებთან ამავე კავშირის იდენტიფიცირება.

პოლიტიკის დოკუმენტებისა და პროგრამული ბიუჯეტის დეტალური ანალიზი მუნიციპალიტეტებს **სტრატეგიით განსაზღვრულ კონკრეტულ მიზნებსა და SDG-ებს შორის პოტენციური ბმის აღმოჩენაში დაეხმარება.** გარდა ამისა, თანმიმდევრული მოქმედების შემთხვევაში მუნიციპალიტეტები თავიდან აიცილებენ ძალისხმევის დუბლირებას.

მუნიციპალიტეტის სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზისას შესაძლოა გამოიკვეთოს საკითხები, რომლებიც სათანადოდ არ არის ასახული გეგმებში. ამისთვის საჭიროა ადგილობრივი სიტუაციის/კონტექსტის დამატებითი ანალიზი, რისთვისაც მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გამოიყენონ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდი - კლასიკური SWOT ანალიზი[9], ან არსებული მდგომარეობის ანალიზი (GAP Analysis), რომელიც თვითმმართველ ერთეულებს არსებული სიტუაციის უკეთ აღქმაში დაეხმარება.

მდგრადი განვითარების მუნიციპალური პრიორიტეტებისა და მიზნების განსაზღვრა და არსებულ პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტში ინტეგრირება

ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტებმა ადგილობრივი საჭიროებებიდან და კონტექსტიდან გამომდინარე უნდა განსაზღვრონ მათთვის რელევანტური და პრიორიტეტული მდგრადი განვითარების მიზნები. პროცესში მნიშვნელოვანია სამუშაო/საინიციატივო ჯგუფების აქტიური ჩართულობა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესების, საჭიროებების ასახვას.

[9] SWOT-ი ინგლისური აბრევიატურიდან გამომდინარე გულისხმობს ორგანიზაციის მდგომარეობას შემდეგი ელემენტების გათვალსიწინებით: S — strengths (ორგანიზაციის ძლიერი მხარე); W — weakness (ორგანიზაციის სუსტი მხარე); O — opportunities (ორგანიზაციის შესაძლებლობები); T — threats (მოსალოდნელი საფრთხე). SWOT-ანალიზის გაკეთების დროს განიხილება ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე ის შესაძლებლობები და გამოწვევები, რომლებიც ორგანიზაციის წინაშე დგას.



გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებმა, მიზნები **ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციებს უნდა მოარგონ.** ამასთან, განსაზღვრონ მოქმედების სფეროები, განხორციელების ვადები და მათზე პასუხისმგებელი სუბიექტები/ სტრუქტურული ერთეულები.

მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან **დაისახონ ამბიციური, თუმცა რეალისტური ამოცანები,** რომელთა მიღწევასაც გაზომვადი ინდიკატორებით შეაფასებენ. სტრატეგიული მიზნების განსაზღვრისას თვითმმართველი ერთეულები შესაძლოა ეროვნულ მატრიცას დაეყრდნონ და მათი ადგილობრივი კონტექსტისთვის შესაბამისი პრიორიტეტები/ამოცანები გადმოიტანონ. მაგალითისთვის, დანართში #1 მოცემულია ის ნაციონალიზებული მიზნები, რომლებიც შესაძლოა მუნიციპალიტეტებისთვის რელევანტური იყოს.

პრიორიტეტული ამოცანების შერჩევის შემდეგ, **მნიშვნელოვანია სამიზნე ინდიკატორის განსაზღვრა,** რომელიც შესაძლოა ნაციონალიზებული ინდიკატორისგან განსხვავებული ფორმულირებით ჩამოყალიბდეს. მიჩნეულია, რომ კარგი სამიზნე ინდიკატორი შემდეგ სამ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს:

შესაბამისობა - ინდიკატორი უნდა პასუხობდეს ადგილობრივ კონტექსტს

განხორციელებადობა - ადეკვატური რესურსების მობილიზების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს მიზნის მიღწევა

პოლიტიკის გარდაქმნის პოტენციალი - მიზნის მიღწევა შესაძლოა სისტემური რეფორმის განხორციელებას დაედოს საფუძვლად

ადგილობრივი თვითმმართველობის კონტექსტში მიიჩნევა, რომ ინდიკატორმა, **პირველ რიგში, განხორციელებადობის კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს.**

ინდიკატორების შემუშავებისას უნდა განისაზღვროს მათი გაზომვის გზები, კერძოდ **მონაცემთა წყაროები.** მუნიციპალიტეტს შეუძლია გამოიყენოს როგორც მის მიერვე წარმოებული მონაცემები/რეესტრები, ასევე, ცენტრალურ დონეზე, მათ შორის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოებული მონაცემები და ჩატარებული კვლევები, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები, ინდექსები, შეფასებები და მონაცემთა ბაზები.

იმისთვის, რომ შერჩეული მიზნები რეალურად იქნეს მიღწეული, უნდა მოხდეს მათი როგორც პოლიტიკის დოკუმენტებში/სტრატეგიებში, ისე ბიუჯეტში ინტეგრირება. ამ დროს მუნიციპალიტეტს შეუძლია იხელმძღვანელოს GIZ-ის მხარდაჭერით შემუშავებული მდგრადი განვითარების მიზნების ბიუჯეტში ასახვის მეთოდოლოგიითა და პრაქტიკული სახელმძღვანელოთი.[10]

მიზნების ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია კონკრეტული ღონისძიებების/ პროგრამებისა და საჭირო რესურსების განსაზღვრა, რაც შესაბამის სამოქმედო გეგმებსა და მუნიციპალურ ბიუჯეტში უნდა აისახოს. პროცესის თანმიმდევრულად განხორციელების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტს იდენტიფიცირებული ექნება ის პროექტები/ პროგრამები, რომლებიც თანხვედრაშია მდგრადი განვითარების ერთ, ან რამდენიმე მიზანთან - იქნება ეს ურბანული დაგეგმარება, სიღარიბის აღმოფხვრა, გენდერული პოლიტიკა, გარემოს დაცვა თუ სხვა. **აუცილებელია, მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ მდგრადი განვითარების მიზნების ასახვა საბიუჯეტო პროცესის როგორც დაგეგმვის, ისე შესრულების ანგარიშების მომზადების ეტაპზე.**

ღონისძიებების დაგეგმვის დროს, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაწილეობის ფორმალური/არაფორმალური მექანიზმების გამოყენება. ამისთვის მუნიციპალიტეტმა შესაძლოა ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები ან/და კონსულტაციები. მნიშვნელოვანია, შეხვედრებზე უზრუნველყოფილ იქნას საკითხის სპეციალისტების ჩართულობა, რაც პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში კონკრეტული ამოცანების შესრულებისთვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრას გაამარტივებს.

[10] ნათია გულუა და პაპუნა პეტრიაშვილი. მდგრადი განვითარების მიზნების ბიუჯეტში ასახვის პრაქტიკული სახელმძღვანელო. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2021

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომლის შევსებაც მონაწილე მხარეებს შესაბამისი აქტივობების განსაზღვრაში დაეხმარება:[11]

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება	
რა აქტივობებს განახორციელებს მუნიციპალიტეტი?	**შესაბამისი ამოცანები:**
	■ საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა ■ 2030 წლისთვის დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით

მესამე ეტაპი: განხორციელება

ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტებმა მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დაგეგმილი აქტივობები პრაქტიკაში უნდა განახორციელონ. საგულისხმოა, რომ ცალკეული სახის ღონისძიებები და აქტივობები შესაძლოა მუნიციპალიტეტს მანამდეც ჰქონდეს განხორ-

[11] გამოყენებულია KDZ-ის მიერ შემუშავებული დიაგრამა, მოპოვებული და ადაპტირებული Prorok T., T. Todorović A., Pichler D., Ivanović M., Rücker L., Pejčić M. (2019). გვ. 59
პრაქტიკული მაგალითებისთვის იხილეთ: *2030-ის ღღის წესრიგის ღოკაღიზაცია ქმედითი ნაბიჯები და კარგი პრაქტიკა.* იანინე გუნცელმანი გამოცემულია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით. 2022. გვ. 59-62

ლოკალიზების დროს აქტივობების დაგეგმვის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ინსტრუმენტად შეიძლება განვიხილოთ **მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა.** იგი გულისხმობს მუნიციპალურ ბიუჯეტში სამოქალაქო ინიციატივებისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფას და შემდეგ ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად მოქალაქეების საუკეთესო იდეების განხორციელებას. ლოკალიზების პროცესში ჩართულობასთან ერთად, მონაწილეობის აღნიშნული მექანიზმის დანერგვა ეხმარება ქვეყანას მე-16 მიზნის (მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა) გათვალისწინებული ამოცანების შესრულებაში. ბოლო წლებია მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა საქართველოს სხვადასხვა თვითმმართველ ერთეულში ეტაპობრივად ინერგება.

განახლებული / ახალი სტრატეგი(ებ)ისა და სამოქმედო გეგმების საზოგადოებასთან კომუნიკაცია

მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების განსაზღვრის შემდეგ, რეკომენდირებულია ფართო **საზოგადოებისთვის საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდეს განახლებული/ მიღებული სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები.** მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით უნდა გააჟღერონ დაგეგმილი აქტივობები, მოსალოდნელი შედეგები და მოქალაქეებს შესთავაზონ მათ განხორციელებაში ჩართვის გზები.

ციელებული და დღის წესრიგში მხოლოდ მათი გაფართოების საკითხი იდგეს. ასევე, შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში არ საჭიროებდნენ დამატებით ძალისხმევას დაგეგმვისა და საჭირო რესურსების მობილიზების კუთხით, რადგანაც, მათ განხორციელებას სხვადასხვა სტრატეგიები თუ გეგმები ისედაც ითვალისწინებდნენ.



ნებისმიერ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტებს ინოვაციებისა და სიახლეების დასანერგად შეუძლიათ ცალკეული მიზნების მიღწევისთვის გაითვალისწინონ სხვა ქვეყნების პრაქტიკები, წარმატებული მაგალითები და მოარგონ ადგილობრივ საჭიროებებს.

ამავდროულად, ამ ეტაპზე **სათანადოდ უნდა მოხდეს მონაცემების წარმოება.** მნიშვნელოვანია წინასწარ განისაზღვროს, რა ტიპის ინფორმაციის დამუშავება არის საჭირო აქტივობების შედეგებისა და სამიზნე ინდიკატორის შესაფასებლად. მონაცემები უნდა შეგროვდეს მაქსიმალურად ჩაშლილად და კატეგორიზაციით (მაგ.; ასაკის, გენდერის, რეგიონის, დასახლების, ქალაქის, სტატუსის და სხვა შესაბამისი ნიშნით/კატეგორიით), რათა მოგვიანებით შედეგები სხვადასხვა ჭრილში/ცვლადით გაანალიზდეს.

ამ ეტაპზეც მნიშვნელოვანია ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. მუნიციპალიტეტს შეუძლია ცალკეული აქტივობები ადგილობრივი აქტორების დახმარებით განახორციელოს, რითაც დაზოგავს, ამავდროულად მოიზიდავს დამატებით ფინანსურ თუ ადამიანურ რესურსს.

ინსპირაციისთვის, საქართველოს მუნიციპალიტეტების კონტექსტსა და საერთაშორისო მაგალითებზე დაყრდნობით, ქვემოთ წარმოდგენილია ცალკეული მიზნისთვის შესაბამისი აქტივობების მაგალითები: [12]

[12] მაგალითებისთვის გამოყენებულია: Prorok T., T. Todorović A., Pichler D., Ivanović M., Rücker L., Pejčić M. (2019) Agenda 2030 in my municipality: A handbook for practitioners for localizing the Sustainable Development Goals (SDGs). ხელმისაწვდომია: https://social-rights-balkan.org/wp-content/uploads/Handbook_2030-Agenda-in-my-Municipality-4.pdf.
გვ. 53-55 და მორგებულია/ადაპტირებულია საქართველოს კონტექსტზე.

სოციალური ინკლუზიის მიღწევა

- მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირების დახმარებით (შემოსავლიდან გამომდინარე - განათლების, ქირის, დასვენების, სამედიცინო ხარჯების და სხვა მატერიალური გარანტიების უზრუნველყოფა) ბავშვთა სიღარიბესთან ბრძოლა;
- ბავშვზე ზრუნვის სერვისების გაუმჯობესებით მშობელთა აქტიური მხარდაჭერა, რაც სხვა აქტივობებთან ერთად მოიაზრებს მშობელთა სემინარების ორგანიზებას, სპორტული აქტივობების დაფინანსებას და ა.შ.
- ხანდაზმულთა შინმოვლის, და მძიმე და ღრმა შეზღუდვის მქონე პირთა სერვისების გაუმჯობესება - რაც სხვა აქტივობებთან ერთად გულისხმობს შინმოვლის პროფესიონალების გადამზადებას, ცალკეული სერვისის მიწოდების (მაგ.; საკვები, დასუფთავება, სამედიცინო სერვისები) გაუმჯობესებას და ა.შ.;
- განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემების მქონე მოზარდებისთვის, ზრდასრულებისთვის, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის და სხვ. დაფინანსების მოძიება/გამოყოფა, ასევე კომპიუტერის კურსების ორგანიზება;
- სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, ასევე შრომით ბაზარზე მარგინალიზებული ჯგუფების ჩართულობის წახალისება და შესაბამისი ღონისძიებების მოწყობა.

ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა

- ადგილობრივი სტარტაპების წახალისება;
- ახალგაზრდების ეკონომიკური საქმიანობის წახალისება;
- ფართოზოლოვანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოწყვლადი ჯგუფებისთვის;

- შიდა ტურიზმის განვითარების წახალისება - ტურისტული ობიექტების შესახებ ცნობიერების ამაღლების გასაზრდელად ახალი მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება.

მდგრადი განვითარების და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა

- ინკლუზიური, ბარიერებისგან თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული პროექტების ორგანიზება და შესაბამისი აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
- მოწყვლად ჯგუფებზე მომუშავე სათემო და ადგილობრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა და მათი ჩართულობით, ინოვაციური სერვისების დანერგვა;
- ძალადობის პრევენციის მიზნით სხვადასხვა აქტივობების, ტრენინგების დაგეგმვა;
- თითოეული მოქალაქის კომფორტზე მორგებული, ბარიერებისგან თავისუფალი საჯარო სივრცეების მოწყობა.



გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

- მუნიციპალურ საბჭოებში გენდერული კვოტირების საკითხის გადახედვა;
- მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებისა და გენდერზე პასუხისმგებელი პირების საქმიანობის ხელშეწყობა ცნობიერების ამაღლების, დახმარების პროგრამების/მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით; ასევე, გენდერული თანასწორობის სტარტეგიებსა და სამოქმედო გეგემებში SDG-ებთან კავშირის ხაზგასმა და გათვალისწინება;

- ოჯახში ძალადობის, გენდერული დისკრიმინაციის, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და ა.შ. მიმართ მგრძნობელობის გაზრდა;
- ქალთა ეკონომიკური აქტივობების წახალისება (COVID-19-ის შემდგომი ეკონომიკური რეაბილიტაციის კონტექსტში), სტარტაპების მხარდაჭერა, მუნიციპალურ დაწესებულებებში გენდერული სახელფასო სხვაობის აღმოფხვრა და მენეჯერულ პოზიციებზე ქალთა რაოდენობის გაზრდის მიზნით, მათი შესაძლებლობების გაძლიერება;
- ბავშვთა ზრუნვის მუნიციპალური პროგრამების ხელშეწყობა (სკოლებში გახანგრძლივებული სასწავლო ფორმატის შემოღება) და ყოველკვირეული სამუშაო საათების მშობელზე ადაპტირება;
- ქალთა თავშესაფრების, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და თვითდახმარების ჯგუფების საქმიანობის ხელშეწყობა, მათი პოპულარიზაცია.

მეოთხე ეტაპი: მონიტორინგი და შეფასება

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შეფასების, ასევე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემუშავებული პოლიტიკის ეფექტურობისა და მიღწეული შედეგების შეფასება ვერ მოხდება.

ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია მონიტორინგი გაუწიოს გლობალური დღის წესრიგის გავლენას უშუალოდ მოქალაქეებზე, ასევე, შეაფასოს ადგილობრივ დონეზე მიღწეული შედეგები. მუნიციპალიტეტის დონეზე მონიტორინგის შედეგები შესაძლოა შესაბამის ეროვნულ დოკუმენტებშიც აისახოს. ამისთვის საჭიროა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების, ასევე, ცენტრალურ დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობა და მონაცემების მიმოცვლა.

განხორციელებული საქმიანობის შეფასებისას, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ მათ მიერ წარმოებულ მონაცემებთან ერთად, გამოიყენონ საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების მონაცემები და ანგარიშები.

მონიტორინგი

მნიშვნელოვანია ცალკეული მიზნების მისაღწევად დასახული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების მონიტორინგი. მონიტორინგის ჩარჩო/სისტემა მოიაზრებს შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრას, რომლითაც მიღწეული პროგრესი გაიზომება. ამისთვის შესაძლებელია **მონიტორინგის გეგმის შექმნა,** სადაც განისაზღვრება მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ეტაპები, მათზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/უწყებები და კონკრეტული ვადები.

SDG-ების მონიტორინგისა და ანგარიშგების **პროცესის წარმატებისთვის,** მნიშვნელოვანია:

- მკაფიოდ გაიწეროს **მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი სამსახური ან/და განყოფილება.** აღნიშნულზე პასუხისმგებელი შეიძლება იყოს შესაბამისი სამსახურებისგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფიც. ამავდროულად, პასუხისმგებლობები უნდა განაწილდეს პროცესში ჩართულ საჯარო მოხელეებს შორის. მნიშვნელოვანია მონაცემების შეგროვებასა და მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელეები ფლობდნენ შესაბამის უნარებს, რისთვისაც ეტაპობრივად, გარკვეული სიხშირით საჭირო იყოს მათი **კვალიფიკაციის ამაღლება.**
- მნიშვნელოვანია **არსებობდეს მჭიდრო კოორდინაცია ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების შორის.** მუნიციპალიტეტებმა განსაკუთრებით ეფექტურად უნდა ითანამშრომლონ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან და მთავრობის ადმინისტრაციასთან, ასევე, საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანებისთვის განსაზღვრულ წამყვან უწყებასთან/უწყებებთან.

- შედეგების გასაზომად და ეფექტური მონიტორინგისთვის მნიშვნელოვანია **სტატისტიკის წარმოების პროცესის მოდერნიზაცია და მონაცემების განკარგვის ერთიანი სისტემის/სტანდარტების დანერგვა.** ამ პროცესში შესაძლებელია მოხდეს სპეციალური კომპიუტერული პროგრამის განვითარება/დანერგვა, რომელიც მონაცემების ანალიზის ავტომატიზაციას მოახდენს.

- ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს შესაბამისი **ფინანსური რესურსების მობილიზება** (მაგალითად, თანამშრომელთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მონაცემების ავტომატური დამუშავების პროგრამის უზრუნველ-საყოფად და ა.შ.).

- მონიტორინგის დროს ცენტრალური ადგილი **მონაცემების ეფექტურ განკარგვას** უჭირავს. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნდა გამოიყოს შემდეგი გარემო-ებები:

- უნდა არსებობდეს **მონაცემების შეგროვების ერთიანი სტანდარტი და შეთანხმე-ბული ფორმები.** სხვა საკითხებთან ერთად, ისინი უნდა მოიცავდეს მონაცემთა კლასიფიკაციას, განახლების სიხშირეს, მონაცემთა წყაროს, მონაცემების შეგროვების მეთოდებს, მონაცემთა სიზუსტის უზრუნველყოფისთვის გასატარებელ ღონისძიებებს, მონაცემების განახლებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს და ა.შ.

- მონაცემების შეგროვების ერთიანი სტანდარტის შემუშავებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს **მონაცემების მაქსიმალური კატეგორიზაციით შეგროვება** - მონაცემების დისეგრეგაცია რეგიონის, მუნიციპალიტეტის, მდებარეობის, ასაკის, სქესის, სოციალური სტატუსის/შემოსავლის ოდენობის თუ სხვა შესაბამისი მახასი-ათებლების გათვალისწინებით.

- სტატისტიკის წარმოების ხსენებული სტანდარტები და ფორმები მნიშვნელოვანია შეთანხმებული იყოს ცენტრალურ დონეზე (მათ შორის, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან).

- ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული ტიპის მონაცემების შეგროვებისას, მუნიცი-პალიტეტს შეუძლია ითანამშრომლოს სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, როგორც ადგილობრივ ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, მათ შორის: ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, კვლევითი ორგანიზაციები, საქართველოს ეროვნული სტატის-ტიკის სამსახური, ცალკეული სამინისტროები და სხვა საჯარო დაწესებულებები, საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორები.

მონაცემთა განკარგვის ეფექტური სისტემის დანერგვა მოითხოვს **ადეკვატური სტატისტიკური შესაძლებლობების არსებობას.** ამისთვის, ზემოთგანხილული გარემოებების საფუძველზე, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე **წინაპირობა:**

- ადამიანური რესურსები, რომლებიც ფლობენ ყველა საჭირო პრაქტიკულ და ტექნიკურ უნარებს.
- საინფორმაციო ტექნილოგიები, რომლებიც მოიცავს როგორც საჭირო მოწყობილობებს, ასევე პროგრამულ უზრუნველყოფებს.
- სტატისტიკური და სხვა ტიპის მეთოდები, რომლებიც გამოიყენება სტატისტიკის საწარმოებლად.
- პროცესები, რომლებიც შემუშავებული და დანერგილია სტატისტიკის საწარმოებლად და სტანდარტების მისაღწევად, და სრულდება პროცესში ჩართული პირების მიერ.
- სტანდარტები და ფორმები, რომლებიც გულისხმობს განმარტებებს, კლასიფიკაციებს, გამოსაყენებულ სისტემებს, საერთო მიდგომებს (სტატისტიკური და არასტატისტიკური) და ა.შ.
- ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც მოიცავს როგორც მონაცემების კუთხით არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოს, პოლიტიკას, ასევე, სტრუქტურულ ერთეულებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილებას,
- წარმოებული მონაცემების ძირითადი დეტალები / ინფორმაცია.[13]

[13] UNECE Statistical capacity development strategy. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MLuO4n

მრავალფეროვანი და ზუსტი მონაცემების შეგროვება მნიშვნელოვნად აისახება მონიტორინგის ეფექტურობაზე. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მეთოდი, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია საჭირო ინფორმაციის მოპოვება:

- გამოკითხვების ჩატარება;
- აღწერა;
- ადმინისტრაციული მონაცემების წარმოება - აღნიშნული მეთოდი საკმაოდ გავრცელებული ფორმაა საჯარო დაწესებულებებისთვის, რადგან ნაკლები დანახარჯებით შეუძლიათ საჭირო მონაცემების შეგროვება. ამ შემთხვევაში, საჭირო იქნება ტრადიციულ ადმინისტრაციულ პროცედურებში გაითვალისწინონ შესაბამისი მონაცემების სისტემური წარმოება. მაგალითად, სოციალური პროგრამების ბენეფიციარების შესახებ მონაცემთა ბაზის წარმოება, რომელიც ბენეფიციარებზე მონაცემებს მაქსიმალური კატეგორიზაციით შეაგროვებს.
- სხვა დაწესებულებების მიერ წარმოებული მონაცემებისა და ბაზების გამოყენება - ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტს ჰქონდეს წვდომა და დაშვება შესაბამის ბაზებსა თუ რეესტრებზე და არ უწევდეს საჭიროებების მიხედვით ინფორმაციის გამოთხოვა/გადამოწმება.
- სხვა ორგანიზაციებისა თუ ინსტიტუტების მონაცემების გამოყენება - არაოფიციალური მონაცემების გამოყენების დროს, მნიშვენლოვანია მუნიციპალიტეტი დარწმუნებული იყოს მათ სიზუსტესა და ხარისხზე. ამგვარი მონაცემები შეიძლება იყოს არასამთავრობო ორგანიზაციების, კვლევითი ცენტრებისა და უნივერსიტეტების მიერ წარმოებული კვლევები, რეიტინგები, შეფასებები და ა.შ.

შეფასება

- მაშინ როდესაც მონიტორინგის შედეგად დაგეგმილი აქტივობების განხორციელება და მათი მყისიერი შედეგები იზომება, შეფასება უზრუნველყოფს გატარებული პოლიტიკების განგრძობადი შედეგებისა და გავლენის გაზომვას/ანალიზს. ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი აანალიზებს თუ როგორ იმოქმედა გატარებულმა ღონისძიებებმა/პოლიტიკამ არსებულ სიტუაციაზე/მოქალაქეების ცხოვრებაზე, რა შეიცვალა და რა მიმართულებით (დადებითი, უარყოფითი). ამგვარი ანალიზი ფაქტობრივად განხორციელებული პოლიტიკის ეფექტურობასაც აფასებს.

შეფასებისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნას შემდეგი ინსტრუმენტები:

→ **ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა (VLR)** - გარდა ეროვნულ დონეზე მომზადებული დოკუმენტებისა, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ თავად მოამზადონ მსგავსი ტიპის მიმოხილვა, სადაც შეფასებული იქნება მიღწეული შედეგები და დღის წესრიგი 2030-ის შესრულებაში მათ მიერ შეტანილი წვლილი. ანგარიშში მოცემული შეიძლება იყოს ასევე მთავარი მიღწევები, ცვლილებები და კარგი პრაქტიკები. დოკუმენტის მომზადებისას მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან.

ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის (VLR) დოკუმენტი შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ქვე-თავებს:

- **(მერის) მიმართვის წერილი**
- **მოკლე შეჯამება**
- **შესავალი**
- **(ლოკალიზების) ორგანიზაციული მოწყობა და ინსტიტუციური პროცესი**
- **(ლოკალიზების) სტრუქტურული საკითხები და გამოწვევები**
- **მეთოდოლოგია: მატრიცა და მონაცემები**
- **შემუშავებული / განხორციელებული პოლიტიკები და ხელშემწყობი გარემოებები**
- **მიზნების ქვეშ მიღწეული შედეგების მიმოხილვა**
- **დასკვნები და რეკომენდაციები**[14]

→ **ალტერნატიული ანგარიშები (Shadow Reports)** - სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსაც შეუძლიათ მოამზადონ ალტერნატიული ანგარიში, სადაც მიზნების მიღწევის კუთხით, შეაფასებენ ხელისუფლების საქმიანობას. ამგვარი ანგარიშები შეიძლება მომზადდეს ცალკეულ მიზნებზეც. გარე პირების მიერ მომზადებული ანგარიში სასარგებლოა მუნიციპალიტეტებისთვისაც, რადგან სთავაზობენ გარე/დამოუკიდებელი დამკვირვებლის შეფასებას. მუნიციპალიტეტს შეუძლია წაახალისოს მსგავსი ტიპის ანგარიშების მომზადება დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობითა და საჭირო ინფორმაციის მიწოდებით.

დამატებითი რესურსები / ინსტრუმენტები, რომლებიც მუნიციპალიტეტს დასახული ამოცანების შეფასებაში დაეხმარება:

→ **აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშები** - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებმა, ერთი მხრივ, შესაძლოა შეაფასონ მიზნების მიღწევა,

[14] მაგალითის შემუშავებისას გამოყენებული და ადაპტირებულია: Siragusa, A., Vizcaino, M.P., Proietti, P. and Lavalle, C., European Handbook for SDG Voluntary Local Reviews, EUR 30067 EN, Publications Office of the European Union, Luxembourg, 2020, ISBN 978-92-76-15402-0, doi:10.2760/257092, JRC118682. გვ. 18

მეორე მხრივ კი მიზნების მიღწევისას ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, და გამოყენებული რესურსების ეფექტურად და ეფექტიანად განკარგვა. მსგავსი ანგარიშების მომზადების პრაქტიკა შეიძლება ასევე დანერგონ მუნიციპალიტეტის მერიების შიდა აუდიტის სამსახურებმა.

- **თანამშრომლობის გაღრმავება** - საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობა მონიტორინგის პროცესშიც მნიშვნელოვანია. სასარგებლოა ინტერ-მუნიციპალური თანამშრომლობაც და ერთმანეთში ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა. მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გაეროს 2030 წლის ადგილობრივ ქსელს (UN Local 2030 Network) შეუერთდნენ, და/ან ქვეყნის მასშტაბით მსგავსი ქსელის ჩამოყალიბებას შეუწყონ ხელი.

- **სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მონაცემების შეგროვება / თავმოყრა / დამუშავება** - პროგრესის მონიტორინგის პროცესში გადამწყვეტია სამიზნე ინდიკატორების შესაბამისი მონაცემების არსებობა, რაშიც სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს დიდი როლი აკისრია. შესაბამისად, აუცილებელია სამსახურთან მუდმივი კოორდინაცია და ახალი ტიპის მონაცემების შეგროვების საჭიროების შემთხვევაში, საკმარისი რესურსების მობილიზება.

დამატებითი ხელშემწყობი გარემოებები

დეცენტრალიზებული მმართველობა

მდგრადი განვითარება და ლოკალიზების პროცესის სწორად წარმართვა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია რეალურ დეცენტრალიზაციაზე, ცენტრსა და რეგიონებს შორის პასუხისმგებლობებისა და კომპეტენციების სწორ გადანაწილებაზე. დეცენტრალიზაციის ხარისხი განსაზღვრავს, თუ რამდენად შეუძლია მუნიციპალიტეტს მობილიზება გაუკეთოს საჭირო რესურსებს და მიიღოს ადგილობრივებზე მორგებული გადაწყვეტილებები. ცალკე აღსანიშნია ფისკალური დეცენტრალიზაციის საკვანძო მნიშვნელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რთულად მიიღწევა მიზნების ლოკალიზებით განსაზღვრული შედეგები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ადგილობრივი თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების შესაძლებლობების გაძლიერება და მმართველობით სისტემებთან დაკავშირებული კარგი პრაქტიკების გაზიარება.

ინტეგრირებული ადგილობრივი მმართველობა

მდგრადი განვითარება, რომელიც თავის თავში მოიცავს განვითარების სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით კომპონენტებს, დაფუძნებულია ინტეგრირებულ მიდგომაზე. ეს უკანასკნელი განვითარების შემდეგი კომპონენტებისგან შედგება:

- ტრადიციული, სექტორული მმართველობითი სტრუქტურების გარდაქმნა
- საჯარო დაწესებულებებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციის წახალისება;
- ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის განვითარების პრიორიტეტების თავსებადობა;
- გადაწყვეტილების მიღების დროს კოორდინაცია და საერთო, ორმხრივად სასარგებლო პოზიციებზე შეჯერება
- საერთო აქტივობებზე შეჯერებით მულტი-სექტორული დაგეგმვის წახალისება

ამ გარემოებების გათვალისწინებით, გამოყოფენ ინტეგრირებული ადგილობრივი მმართველობის რამდენიმე ფორმას:

- ვერტიკალური კოორდინაცია ეროვნულ და რეგიონულ/ადგილობრივ მთავრობებს შორის
- ჰორიზონტალური კოორდინაცია სამინისტროებს/სამსახურებს შორის
- ტერიტორიული კოორდინაცია ადგილობრივ ხელისუფლებებს/მუნიციპალიტეტებს შორის.

პროცესის ღიაობა და ანგარიშვალდებულება

მუნიციპალიტეტებმა ლოკალიზაციის პროცესი ინკლუზიური მიდგომებით უნდა წარმართონ, რათა ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები და გამოცდილება იყოს გათვალისწინებული. ზემოთხსენებული სათათბირო ორგანოების/სამუშაო/ საინიციატივო ჯგუფების შექმნა ან არსებული სათათბირო ორგანოების / სამუშაო ჯგუფების გამოყენება სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მნიშვნელოვანია მათში მონაწილეობა ყველა შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისთვის იყოს შესაძლებელი. ასევე, დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე რეალური ზეგავლენის მოხდენის ბერკეტები. ამავდროულად, მუდმივად უნდა ქვეყნდებოდეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურებისა თუ სტრუქტურული ერთეულების, ასევე, სამუშაო/საინიციატივო ჯგუფების მიზნების მისაღწევად გატარებული ღონისძიებების შესახებ.

დოკუმენტების საჯაროობა

მნიშვნელოვანია საჯაროდ იყოს ხელმისაწვდომი ყველა ის დოკუმენტი, რომელიც იქმნება ან/და საფუძვლად უდევს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციისა და ლოკალიზების პროცესს. ასევე, სასურველია, საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი, სტრატეგია თუ სამოქმედო გეგმა, რომელთა განხორცილებითაც ცალკეული მდგრადი განვითრების მიზანი მიიღწევა.

მონაცემთა ბაზების ერთიანი სტანდარტით დამუშავება / განკარგვა

მნიშვნელოვანია პროცესში მოხდეს მუნიციპალიტეტის დონეზე დამუშავებული მონაცემთა ბაზებისა და საინფორმაციო რესურსების აღწერა, რათა გამოიკვეთოს პროგრესის შეფასებისთვის უკვე არსებული და შესაგროვებელი მონაცემები. ამავდროულად, უნდა შემუშავდეს და შეთანხმდეს მონაცემების განკარგვის (შემუშავება, განახლება, შენახვა) ერთიანი სტანდარტი, ასევე, ინფორმაციის გაცვლის ეფექტური მექანიზმი / სისტემა. ასევე, მნიშვნელოვანია როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელი უწყებების და/ან დაქვემდებარებული სტრუქტურული

ერთეულებისა, და საჯარო რეესტრის აქტიური თანამშრომლობა და შესაბამის ბაზებთან წვდომის უზრუნველყოფა. ამავდროულად, აუცილებელია მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების გაძლიერება და ამისთვის საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსების უზრუნველყოფა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ორგანოების საჯარო მოხელეთა გადამზადება სტატისტიკის წარმოების მიმართულებით.

„მდგრადი ქალაქი" - ქალაქები საკუთარი მდგრადი განვითარების პრიორიტეტებით

შეზღუდული პოლიტიკური, ადამიანური თუ ფინანსური რესურსების პირობებში, მუნიციპალიტეტების მხრიდან საკუთარი SDG დღის წესრიგის (ჩარჩოს) შემუშავება დამატებითი პასუხისმგებლობაა. მიუხედავად ამისა, მდგრადი განვითარების მიმართულებით მსოფლიოს მრავალმა ქალაქმა უკვე შეიმუშავა საკუთარი დღის წესრიგი, რაც მაღალი თანამდებობის პირების პოლიტიკურმა ნებამ და ქალაქის მდგრადი განვითარების მტკიცე სურვილმა განაპირობა. აღნიშნულ პროცესში სასარგებლო აღმოჩნდა გამოცდილებისა და წარმატებული მაგალითების გაზიარება, ასევე, მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობა. მაგალითისთვის, გერმანიის 30 ქალაქის მერი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში თანამშრომლობის მიზნით გაერთიანდა.[15] დიალოგის ფორმატში მერები ერთმანეთს პოლიტიკის შემუშავების საკუთარ მიდგომებს უზიარებენ.

„მდგრადი ქალაქის" ფარგლებში მუნიციპალიტეტები შესაძლოა თავად გახდნენ სხვადასხვა ინიციატივის ავტორები, მათ შორის ისეთი აქტივობების, რომლებიც ქვეყანას დაეხმარება ეროვნულ მატრიცაში დასახული მიზნების მიღწევაში და ამავდროულად, რელევანტურია ცალკეული მუნიციპალიტეტისა თუ რეგიონისთვის.

მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების უცხოური მაგალითები

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მიზნით, ლოკალიზების პროცესში მუნიციპალიტეტები, ქალაქები, თემები და ა.შ. მათ საჭიროებებზე მორგებული ამოცანების შესრულებას ისახავენ მიზნად. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ქალაქის მაგალითზე 17-ვე მიზნის ლოკალიზების ფარგლებში ცალკეული ამოცანის მისაღწევად განხორციელებული აქტივობების მაგალითები.

[15] "Sustainable City" dialogue – mayors for sustainable development in municipalities. ხელმისაწვდომია: https://www.nachhaltigkeitsrat.de/en/projects/sustainable-city-dialogue/?cn-reloaded=1

დიდი ბრიტანეთის ქალაქ ბრისტოლის ადგილობრივი ხელისუფლება სრულად აცნობიერებს, რომ მდგრადი განვითარების **პირველი მიზნის** ფარგლებში, რაც სიღარიბის შემსუბუქებას ითვალისწინებს, განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია. მოცემული მიზნის პირველი და მეორე ამოცანის ფარგლებში, რაც სიღარიბეში მცხოვრები ნებისმიერი ასაკის მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების შემცირებისკენ და მათთვის სოციალური დაცვის სისტემების უზრუნველყოფისკენ არის მიმართული, ბრისტოლს შექმნილი აქვს სპეციალური Baby Bank Network[16], რომელიც ოჯახებისთვის ბავშვის პირველადი მოხმარების საგნების უფასოდ მიწოდებას უზრუნველყოფს, რათა ოჯახებმა ფინანსები სხვა საჭიროებებისკენ მიმართონ. გარდა ამისა, არსებობს სპეციალური სათემო სატრანსპორტო სქემა, რომელიც ასაკოვან, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებს შედარებით იაფ სატრანსპორტო ტარიფებს სთავაზობს.

შიმშილის აღმოფხვრისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით (მდგრადი განვითარების **მე-2 მიზანი), მექსიკის იუკატანის შტატმა** ლოკალიზების პროცესში შემდეგი სახის პროგრამები დანერგა: პროგრამა "საუზმე სკოლებში", საკვების მხარდაჭერის პროგრამა, ასევე, სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის მხარდამჭერი საკრედიტო ფონდი და ა.შ.[17] თითოეული მათგანის სამიზნეს მოსახლეობის იმ მოწყვლადი ნაწილის მხარდაჭერა წარმოადგენს, რომელთაც კვების საკმარისი რესურსი არ გააჩნიათ.

ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით **(მიზანი 3), ფინეთის ქალაქ ტურკუში** [18], ლოკალიზების პროცესში, კლინიკებში დანერგილია დედათა და ბავშვთა კეთილდღეობის სერვისები, რომელიც მომავალ დედებს, ასევე სკოლის ასაკის ბავშვებს მათთვის საჭირო უფასო სერვისებს, მათ შორის ეროვნული პროგრამით გათვალისწინებულ საყოველთაო ვაქცინაციას უფასოდ სთავაზობს. აღნიშნული ზომები მოცემული მიზნით გათვალისწინებულ ამოცანებს - ჯანდაცვის ძირითადი სერვისების მიწოდებას, ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლასა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინტეგრირებას პასუხობს.

16 ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა, ბრისტოლი. 2019. ხელმისაწვდომია: https://www.local2030.org/pdf/vlr/bristol-uk-vlr-2019.pdf

17 ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა, იუკატანი. 2020. ხელმისაწვდომია: https://www.local2030.org/pdf/vlr/yucatan-2020-min.pdf

18 ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა, ქალაქი ტურკუ. 2020. ხელმისაწვდომია: https://www.local2030.org/pdf/vlr/vlr-city-of-turku-finland-2020.pdf

ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფის მიზნით **(მიზანი 4), გერმანიის ქალაქ მანჰაიმში** შეიქმნა სკოლების მხარდამჭერი სპეციალური პროგრამა,[19] რომელიც იმ რეგიონებში/უბნებში, სადაც მოსწავლეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სასწავლო პროცესში ჩართულობა დაბალია, მოსწავლეებს დამატებით 20 საათის სასკოლო სივრცეში გატარებასა და დამატებით სასწავლო პროგრამებს სთავაზობს.

მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს გენდერული თანასწორობის მიღწევა **(მიზანი 5).** ფინეთის კარგი პრაქტიკის მაგალითზე, მუნიციპალიტეტები, საჯარო ფინანსების მართვის პროცესში, სათანადოდ ითვალისწინებენ გენდერულ პერსპექტივებს და სერვისების მიწოდებისას ხდება თანასწორობის პრინციპების დანერგვა. კერძოდ, **ჰელსინკის საკრებულომ** გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის გზით[20] საჯარო ფინანსებისა და სოციალურ-ეკონომიკური მართვის პრიორიტეტები გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პოლიტიკას მოარგო.

მდგრადი განვითარების **მე-6 მიზნის** - წყლის სანიტარული ნორმების დაცვის უზრუნველყოფის ფარგლებში, **ჩინეთის ქალაქ ტაიპეის** ადგილობრივი მთავრობა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების, ასევე მათი ჩართულობის წახალისების მიზნით, მდინარეების კონსერვაციის პროცესს წარმართავს. ამ მიზნით, შექმნილია წყლის გარემოს საპატრულო 20-მდე სპეციალური ჯგუფი, რომლის წევრებიც მდინარის წყლის დასუფთავებას ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით სხვადასხვა მონაკვეთებზე ახორციელებენ.

მე-7 მიზნის ფარგლებში დასახულ ერთ-ერთ გლობალურ ამოცანას ხელმისაწვდომი ენერგომომსახურების უზრუნველყოფა წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული ბრისტოლის შემთხვევაში მნიშვნელოვან გამოწვევას ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული სიღარიბე წარმოადგენს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიმუშავა ე.წ. სახლების ენერგოეფექტურობის შეფასების სისტემა, რომელიც გათბობის გადასახადის დაზოგვის მსურველ ოჯახებს უფასო დიაგნოსტიკით უზრუნველყოფს, რაც ენერგომომსახურებას უფრო ეფექტურს ხდის, ხოლო ოჯახებს შესაძლებლობას აძლევს შედარებით დაბალი ტარიფებით ისარგებლონ.

19 ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა, მანჰაიმი. 2020. ხელმისაწვდომია: https://www.local2030.org/pdf/vlr/mannheim-vlr-2020.pdf

20 ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა, ჰელსინკი. 2019. ხელმისაწვდომია: https://www.local2030.org/pdf/vlr/helsinki-city-2019.pdf

ეკონომიკური პროდუქტიულობის მაღალი დონის მისაღწევად, რომელიც მდგრადი განვითარების **მე-8 მიზნის** ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს, **იაპონიაში მდებარე ქალაქ ჰამამაცუში** შეიმუშავეს ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დასაქმების ხელშემწყობი კამპანიები.[21] სპეციალური პროგრამების მეშვეობით, რომელიც სხვადასხვა ბიზნეს სუბიექტების ჩართულობით ხორციელდება, ზემოხსენებული სამიზნე ჯგუფების გამოცდილების, უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ინდენტიფიცირების შემდგომ ხდება მათთვის ღირსეული სამუშაოს მოძებნა. პარალელურად, ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივით ტარდება საჭიროებების კვლევა, იმართება კარიერული მხარდაჭერის ტრენინგები და ა.შ.

მდგრადი განვითარების **მე-9 მიზნის** ლოკალიზების ფარგლებში (მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა), იაპონიაში მდებარე ინდუსტრიული **ქალაქი ტოიამა**[22] ცდილობს შეამციროს იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ქალაქს უმაღლესი სასწავლებლის, ან სამუშაო მიზნით ტოვებენ. სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიმუშავა სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს ახალი ბაზრების ათვისებას, იზიდავს ბიზნეს სუბიექტებს ტექნოლოგიური მიმართულებით, ასევე ინვესტიციებს.

შიდა და გარე მიგრაციის შედეგად, **არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში** მცხოვრები მოსახლეობის 38% მიგრანტებს წარმოადგენენ. მდგრადი განვითარების **მე-10 მიზნის** ფარგლებში (უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის) ბუენოს-აირესში ჩამოყალიბდა ე.წ. მიგრანტთა პროგრამა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გზით მიგრანტთა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.[23] გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალი სტრატეგიების და პოლიტიკების შემუშავება, რომლებიც მიგრანტთა ახალი ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრირებას ემსახურება. გარდა ზემოხსენებულისა, პროგრამის ერთ-ერთ მთავარ მიზანს აღნიშნულ საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და კულტურული მრავალფეროვნების ხილვადობა წარმოადგენს.

21 ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა, ჰამამაცუ. 2019. ხელმისაწვდომია: https://www.local2030.org/pdf/vlr/hamamatsu-city.pdf

22 ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა, ტოიამა. 2018. ხელმისაწვდომია: https://www.local2030.org/pdf/vlr/english-vlr-toyama-city-japan-2018.pdf

23 ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა, ბუენოს-აირესი. 2019. ხელმისაწვდომია: https://www.local2030.org/pdf/vlr/buenos-aires-argentina-vlr-2019.pdf

არსებულ მიზნებს შორის ადგილობრივი თვითმმართველობების ჭრილში მეტად რელევანტურია **მე-11 მიზანი,** რაც ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიურ, უსაფრთხო და მდგრად განვითარებას მოიაზრებს. აღნიშნულის ფარგლებში ადგილობრივ თვითმმართველობებს შეუძლიათ მიზნის მიღწევის მრავალფეროვანი სტრატეგიები/ამოცანები[24] დასახონ, მათ შორისაა:

- ნეიტრალური, სხვადასხვა მიმართულების მქონე დაინტერესებული მხარეებისგან შემდგარი პლატფორმის შექმნა, რომლის ფარგლებშიც მოხდება ქალაქის/სოფლის/დასახლების ფუნქციონალურობის, მდგრადობის, განვითარების გზების გაანალიზება და სამომავლო გეგმების შემუშავება.
- სხვადასხვა შენობების, საცხოვრებლების ენერგოეფექტურობის გაზომვა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით.
- სატრანსპორტო სისტემის უსაფრთხოების, ხელმისაწვდომის და მისი გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით ქალაქებთან/ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა.
- კერძო სექტორთან თანამშრომლობის, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის, ასევე საინვესტიციო სტრატეგიების რეფორმა მდგრადი ურბანული განვითარების მხარდასაჭერად.

მდგრად მოხმარებასა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ზომების მიღებას თანამედროვე სამყაროს დღის წესრიგში ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი უჭირავს. SDG-ის **მე-12 მიზანი** სწორედ ამ მნიშვნელოვან გამოწვევას ეხმიანება. **ქალაქ ტაიბეიში**, მთავრობასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გზით ე.წ. „ცირკულარული ქალაქის" პროექტი შემუშავდა, რაც ერთი მხრივ ერთჯერადი პლასტმასის ჭურჭლისა და პოლიეთილენის პარკების აკრძალვას გულისხმობდა, რამაც მოსახლეობაში საყიდლების მრავალჯერადი ჩანთის გამოყენების ზრდა გამოიწვია, ხოლო მეორე მხრივ წაახალისა ქალაქის სხვადასხვა წერტილში ე.წ. „სასურსათო ფონდის" შექმნა, სადაც კვების ობიექტების, მარკეტებისა და აგრო ბაზრების მიერ დღის მანძილზე გამოუყენებელი საკვების განთავსება და საჭიროების მქონე პირებისთვის მათი მიწოდება ხორციელდება.[25] გარდა ამისა, აღნიშნული ინიციატივა მდგრადი მოხმარებისა და წარმოების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას ემსახურება.

[24] SDG Compass. ხელმისაწვდომია: https://sdgcompass.org/sdgs/sdg-11/

[25] ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა, ტაპეი. 2020. ხელმისაწვდომია: https://www.local2030.org/pdf/vlr/tapei-voluntary-local-review-2020.pdf

მდგრადი განვითარების **მე-13 მიზანი** კავშირშია წინამორბედთან და კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებას მოიაზრებს. საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, აღნიშნულ ეტაპზე რელევანტურია **ქალაქ ტურკუს** მაგალითი, სადაც ეროვნული მთავრობის, მსხვილი მწარმოებლების, უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტების, ექსპერტებისა და აღნიშნულ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით მოხდა კლიმატის ცვლილების რისკების იდენტიფიცირება, მოწყვლადობისა და ზემოქმედების შეფასება, აღნიშნულზე დაყრდნობით კი შეიქმნა კლიმატის ცვლილებებთან გამკლავების გრძელვადიანი გეგმა.

მე-14 მიზნის ფარგლებში (ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და გონივრული გამოყენება მდგრადი განვითარებისთვის) **ფინეთის ქალაქ ესპოოში**[26] შეიმუშავეს მდინარეებისა და ტბების კონსერვაციის გეგმა, რაც გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის/თემის ჩართულობის გზით მათ გასუფთავებას, ასევე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას კონკრეტულ მდინაარეებსა და ტბებში მობინადრე თევზების შესახებ, რაც თევზჭერის მავნე პრაქტიკის აღმოფხვრას ემსახურება.

მე-15 მიზნის (დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება) ლოკალიზების თვალსაჩინოებისთვის შეგვიძლია **ჰავაის**[27] მაგალითი მოვიხმოთ. მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო ეკოსისტემის შენარჩუნებისა და ადგილობრივი საკვების წარმოების გაორმაგების მიზნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უზრუნველყო ადგილობრივი პროდუქტებით პირველ რიგში სკოლების კაფეტერიების მომარაგება, ასევე შეიუმუშავა “ფერმერთა განათლების პროგრამები”, რაც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის მიმართულებით სამუშაო ადგილების შექმნას და კვალიფიციური კადრების გადამზადებას.

მდგრადი განვითარების **მე-16 მიზანი** საკმაოდ ფართო სპექტრისაა და გულისხმობს მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობას,

[26] ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა, ესპოო. 2020. ხელმისაწვდომია: https://www.local2030.org/pdf/vlr/ EspooVLR2020Web.pdf

[27] ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა, ჰავაი. 2020. ხელმისაწვდომია: https://www.local2030.org/pdf/vlr/aloha2020.pdf

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობას. აღნიშნული მიზნის ლოკალიზების შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს **ლოს-ანჯელესი (აშშ)**, სადაც სპეციალურად აღნიშნული მიზნის ფარგლებში შეიქმნა ქალაქის კრიმინალის შემცირებისა და ახალგაზრდების განვითარების მოდელი (GRYD). ყოვლისმომცველი სტრატეგია მოიცავს საზოგადოების ჩართულობას, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას, ე.წ. ბანდების კრიმინალის შემცირებას და ა.შ. აღნიშნული მოდელის შექმნამ ხელი შეუწყო ბანდასთან დაკავშირებული ძალადობის 10%-ით შემცირებას .[28]

მდგრადი განვითარების ბოლო, **მე-17 მიზანი** ეფუძნება პარტნიორობას, და მიზნების განხორციელების საშუალებების განმტკიცებას გულისხმობს. აღნიშნული მიზნის ლოკალიზების პროცესში რელევანტურია არა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე ხელისუფლებისა და კერძო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობა, არამედ საერთაშორისო ქსელებში ჩაბმა და კონტაქტების დამყარება. მაგალითისთვის, **იაპონიის ქალაქ კიტაკიუშუში** მე-17 მიზნის ფარგლებში შემდეგი აქტივობები ჩატარდა: 200-მდე ექსპერტი გაიგზავნა მსოფლიოს 25 ქვეყანაში ნარჩენებისა და წყლის მდგრადი განვითარების კუთხით ექსპერტიზის გასაწევად. ასევე, 9,000-ზე მეტი ადამიანი ესტუმრა ქალაქს 165 ქვეყნიდან ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად.

[28] ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა, ლოს-ანჯელესი. 2019. ხელმისაწვდომია: https://www.local2030.org/pdf/vlr/las-voluntary-local-review-of-sdgs-2019.pdf

გამოყენებული ლიტერატურა

მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ეროვნული პლატფორმა: https://sdg.gov.ge/intro

მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ლოკალიზება ადგილობრივ დონეზე. მოკლე საინფორმაციო გზამკვლევი.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/

Agenda 2030 in my municipality. GIZ Regional Project on Social Rights for Vulnerable Groups (SoRi) commissioned by the German Federal Ministry for Economic Cooperation and Development (BMZ). February 2019. ხელმისაწვდომია: https://social-rights-balkan.org/wp-content/uploads/Handbook_2030-Agenda-in-my-Municipality-4.pdf

Getting Started with the SDGs in Cities. Chaitanya Kanuri, Aromar Revi, Jessica Espey & Holger Kuhle. 2016. ხელმისაწვდომია: https://irp-cdn.multiscreensite.com/6f2c9f57/files/uploaded/Cities-SDG-Guide.pdf

Localizing the 2030 Agenda. Practical Steps and Good Practices. Janine Gunzelmann on behalf of the German Federal Ministry for Economic Cooperation and Development (BMZ).

Roadmap for Localizing the SDGs. Global Taskforce for Local and Regional Governments. ხელმისაწვდომია: https://www.uclg.org/sites/default/files/roadmap_for_localizing_the_sdgs_0.pdf